სამაგიდე კვლევა

სიძულვილის ენა

დემოკრატიის კვლევის ცენტრი
თბილისი, 2025

FLIP
A Joint EU-UNDP Initiative

დოკუმენტი მომზადდა „COBERM-ის შემდგომი განვითარება: EU-UNDP ერთობლივი ინიციატივა მდგრადი და ინკლუზიური მშვიდობისთვის (FLIP)“-ის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირისა (EU) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ ინიციატივას.

გამოცემის შინაარსზე ერთპიროვნული პასუხისმგებლობა „დემოკრატიის კვლევის ცენტრს“ აკისრია და არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას აღქმული, როგორც EU-ს ან UNDP-ს მოსაზრება.

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის დიზაინად განისაზღვრა სამაგიდე კვლევის მეთოდი. 5

სიძულვილის ენის განმარტება 7

სიძულვილის ენის გამოყენების არსებული ადგილობრივი პრაქტიკა და ტენდენციები 9

საერთაშორისო უმაღლესი საუკეთესო პრაქტიკა 21

სიძულვილის ენა სასკოლო სახელმძღვანელოებში 29

სიძულვილის ენა მედიაში 32

სიძულვილის ენა და გენდერი 35

დასკვნა 38

რეკომენდაციები 40

შესავალი

სამაგიდე კვლევა სიძულვილის ენის გამოყენების სხვადასხვა ასპექტს შეისწავლის. დოკუმენტში წარმოდგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი, როგორც საკანონმდებლო, ისე სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილში და ჩაშლილია შემდეგი საკითხების მიხედვით:

- სიძულვილის ენის გამოყენების ადგილობრივი პრაქტიკა და ტენდენციები;
- სიძულვილის ენასთან მიმართებით არსებული კანონმდებლობა;
- სიძულვილის ენის გამოყენება სასკოლო სახელმძღვანელოებში, მედიასა და სხვა სფეროებში.
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა - სწორედ ეს მესიჯი გაუგზავნა მსოფლიოს გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა შემდეგი სიტყვებით:

„სიძულვილის ენა განგაშის ზარია - რაც უფრო ხმამაღლა რეკავს, მით უფრო დიდია გენოციდის საფრთხე. ის წინ უსწრებს და ხელს უწყობს ძალადობას“ [1]

[1] UN, Hate speech is rising around the world, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.un.org/en/hate-speech

კვლევის მიზანია შეაფასოს საქართველოში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები, ტენდენციები და კანონმდებლობა. ასევე, შეისწავლოს საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც სიძულვილის ენაზე აკეთებს აქცენტს. გარდა ამისა, საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით, განსაზღვროს ის ინიციატივები და გამოცდილება, რომლებიც ეხება სიძულვილის ენას და მასზე ეფექტურ რეაგირებას. და ბოლოს, შეაფასოს სასკოლო სახელმძღვანელოებში, მედიაში, სოციალურ ქსელებში გენდერულ თანასწორობასთან მიმართებით გამოკვეთილი სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინად განისაზღვრა სამაგიდე კვლევის მეთოდი



სამაგიდე კვლევის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საერთაშორისო კონვენციების ანალიზი;
- საერთაშორისო პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი;
- კვლევის ფარგლებში ასევე დამუშავდა საერთაშორისო, სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული დოკუმენტები, აკადემიური ნაშრომები, პოლიტიკის დოკუმენტები და სტატიები;
- საქართველოს კანონმდებლობის, ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლობის, ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის კანონმდებლობის ანალიზი.

კვლევა მნიშვნელოვან საინფორმაციო გზამკვლევს წარმოადგენს სიძულვილის ენის თემაზე მომუშავე მკვლევრებისათვის, სტუდენტებისა და ლექტორებისათვის, სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის.

კვლევის აქტუალურობა - სიძულვილის ენა მხოლოდ ცალკეულ მსხვერპლებზე არ ახდენს გავლენას, მისი გავრცელება ხელს უშლის დემოკრატიული და ტოლერანტული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.[2]

სიძულვილის ენა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, პირველ რიგში იმიტომ, რომ მისი კონკრეტული განმარტება არ არსებობს. ასევე, სიძულვილის ენის რეგულირების საკითხი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უკავშირდება, რაც ისევე საშიშია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. როგორც თავად სიძულვილის ენა.

21 საუკუნეში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია სიძულვილის ენა რომელიც გვხვდება როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასევე მედიაში, სოციალურ ქსელებში, საგანმანათლებლო სივრცეებში და სხვა.

სიძულვილის ენა საშიშია საზოგადოებისთვის, რადგან არღვევს ადამიანის უფლებებს, ასევე დგება საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრებიდან სხვადასხვა ჯგუფის გარიყვის საშიშროება.

სიძულვილის ენის გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს ძალადობა და შეუწყნარებლობა.[3] იმის გათვალისწინებით, რომ სიძულვილის ენა საფრთხეს უქმნის დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს და ღირსებას,[4] საჭირო და მნიშვნელოვანია მისი გავლენების და პრევენციის გზების აქტიური კვლევა.

---

[2] https://shorturl.at/jggnj

[3] United nations article: Hate speech is rising around the world https://www.un.org/en/hate-speech

[4] The Council of Europe: combating hate speech: https://www.coe.int/en/web/combating-hate-speech/what-is-hate-speech-and-why-is-it-a-problem

სიძულვილის ენის განმარტება

რა არის სიძულვილის ენა?

აღნიშნულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი არ არსებობს. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც გამოხატვის ნებისმიერი ფორმა, რომლითაც ხელს ვუწყობთ დისკრიმინაციას, რასიზმს, ქსენოფობიას, ჰომოფობიას და სხვა.

სიძულვილის ენა შეიძლება გავრცელდეს ნახატებით, ვიდეო თამაშებით, რაიმე დოკუმენტით, სტატიით, და ა. შ.

სიძულვილის ენისათვის დამახასიათებელია სტერეოტიპები, სტიგმატიზაცია და დამამცირებელი დამოკიდებულებები.[5]

სიძულვილის ენის შესახებ აქტიური დისკუსიის დაწყება მეორე მსოფლიო ომის ეპოქას უკავშირდება (ნაციზმისა და ტოტალიტარიზმის აღზევებას). [6]

სიძულვილის ენის საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული დეფინიცია არ არსებობს.

1997 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია #R(97), სადაც იგი შემდეგნაირადაა განმარტებული: სიძულ-

---

[5] UNESCO, countering hate speech article, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.unesco.org/en/countering-hate-speech/need-know

[6] Walker, Samuel (1994). „Hate Speech: The History of an American Controversy“, Lincoln: University of Nebraska Press. p. 79.

ვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, ხელს უწყობს, პროვოცირებას უწევს ან ამართლებს ქსენოფობიას, რასობრივ შუღლს, ანტისემიტიზმს, ასევე, შეუწყნარებლობის სხვა სახით გამოვლინებას - ეთნოცენტრიზმს, ნაციონალიზმს, დისკრიმინაციას, უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ მტრობას.[7]

სიძულვილის ენა მიზნად ისახავს „სამიზნე ჯგუფების დაზიანებას, დეჰუმანიზაციას, შევიწროებას, დაშინებას, დამცირებას, დეგრადირებას და მსხვერპლის მიმართ მგრძნობელობისა და სისასტიკის გაღვივებას“.[8]

სიძულვილის ენა, არის სიტყვიერი აგრესიის ფორმა, რომელიც გამოხატავს სიძულვილს, ზიზღს, დაცინვას ან მუქარას კონკრეტული ჯგუფის ან ადამიანის მიმართ.[9]

სიძულვილის ენა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერი შეურაცხყოფით, მუქარით, ძალადობისკენ მოწოდებით პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ეროვნული წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, განსხვავებული ფერის, რელიგიის, სქესის, ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ნიშნის საფუძველზე.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, მაინც შეიძლება გამოვყოთ სიძულვილის ენის ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც ყველა განმარტებაში გვხვდება: **სიძულვილის ენა არის გამოხატვის ისეთი ფორმა, რომელიც აღვივებს დისკრიმინაციასა და შუღლს განსხვავებულის მიმართ, იქნება ეს რელიგიის მიმდევრობა, ეთნიკური წარმომავლობა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები და ა.შ.**

---

[7] CoE, Committee of Ministers, RECOMMENDATION No. R (97) 20, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://rm.coe.int/1680505d5b

[8] Gagliardone I., 2014; „Mapping and Analysing Hate Speech Online“, p. 9, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.researchgate.net/publication/314552833_Mapping_and_Analysing_Hate_Speech_Online

[9] Asante M.K. The Afrocentric Idea, 1998, pp. 87– 98.

სიძულვილის ენის გამოყენების არსებული ადგილობრივი პრაქტიკა და ტენდენციები

საქართველოშიც, ისევე როგორც თანამედროვე მსოფლიოში, სიძულვილის ენა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

საქართველოში სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული მიდგომები, რომლებიც მოიცავს, როგორს საკანონმდებლო ბაზას და აღსრულების მექანიზმებს, ასევე რეფორმებს და სპეციალურ პროგრამებს, ქმნის სიძულვილის ენის წინააღმდეგ გარკვეულ წინაღობას, ასევე იცავს გამოხატვის თავისუფლებას მაღალი სტანდარტებით. სიძულვილის ენა საქართველოში კრიმინალიზებული არ არის, თუმცა საკანონმდებლო აქტების უმრავლესობა პირდაპირ კავშირშია სიძულვილის ენის პრევენციასთან. აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებით მეორე თავში ვისაუბრებთ.

საქართველოში სიძულვილის ენას ხშირად შეხვდებით მედიაში (სატელევიზიო გადაცემებში, პოლიტიკურ და გასართობ ტოქშოუებში) ასევე, სოციალურ ქსელებში (კომენტარების, ვიდეოებისა და ფოტოების სახით).

სიძულვილის ენის გამოყენება ხშირად ხდება პოლიტიკოსების მიერ, ვითარება განსაკუთრებით მწვავდება წინასაარჩევნო პერიოდში დაძაბული გარემოს და საარჩევნო ციებ-ცხელების ფონზე. სიძულვილის ენის ყველაზე ხშირი სამიზნეები არიან: ქალები, ლგბტქი+ თემის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარ-

მომადგენლები, განსხვავებული მსოფლმხედველობის ან/და პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები; ასევე უნდა გამოვყოთ მიგრანტები აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან.[10]

სიძულვილის ენის გავრცელების განსაკუთრებით შემაშფოთებელი და სახიფათო მაგალითებია მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა ანტისემიტური განცხადებები, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ეკლესიის გავლენას საქართველოს მოსახლეობაზე, სადაც დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია.

აუცილებლად უნდა გამოვყოთ ბოლო პერიოდში საჯარო სივრცეებში აგრესიული და ძალადობრივი ჯგუფების გააქტიურების საკითხი; და რაც ყველაზე საშიშია, ამ ჯგუფების კავშირი ექსტრემისტულ-პოლიტიკურ მოძრაობებთან და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ისინი ხელს უშლიან გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას ძალადობით და მუქარით, არ ცნობენ თანასწორობას და ტოლერანტობის აუცილებლობას, ინკლუზიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მოსაზრებებს თუ დავეყრდნობით, სახელმწიფო ვერ ახერხებს აღნიშნული ფაქტების პრევენციას, ვერ აწარმოებს ეფექტურ გამოძიებას და შესაბამისად, ვერ ატარებს სამართლებრივ ღონისძიებებს.[11]

საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის მდგომარეობის შესახებ მეცხრე ყოველწლიურ ანგარიშში 2023 წლის განმავლობაში თანასწორობის უფლების რეალიზების მხრივ არსებული დაბრკოლებებია წარმოდგენილი. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის ას ოცდაორი ფაქტი შეისწავლა. შემთხვევათა პროცენტული რაოდენობა სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა:

---

[10] ევროკავშირი საქართველოსთვის და ევროპის საბჭო, „საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა რუკა, სისტემური ანალიზისა და პოლიტიკის ანგარიში“,
ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/hs-mapping-geo-final/1680a496c9

[11] იქვე.



სხვა ნიშნების საფუძველზე დისკრიმინაციული მოპყრობა ამ საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იყო და განცხადებების ყველაზე მეტი - 31% შეადგინა.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საჯარო პირების, დამსაქმებლების და მედიის როლზე სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში[12]

აშკარაა გამოწვევები სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების კუთხით. აღნიშნული ფაქტის მიზეზებს შორის კი გამოიკვეთა სამართალდამცავების მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების არასათანადოდ შესრულება, ულტრა მემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ დანაშაულზე არასაკმარისი რეაგირება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როგორც სახალხო

[12] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში თანასწორობის მდგომარეობის შესახებ N9,2024, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/190308041856angarishebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-tanastsorobis-mdgomareobis-shesakheb-n9

დამცველისთვის წარმოდგენილ განცხადებებშია აღნიშნული, მოქალაქეებს არ აქვთ საკმარისი ნდობა სამართალდამცავების მიმართ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სამართალდამცავების მხრიდან ხშირია დისკრიმინაციის წამახალისებელი დამოკიდებულებები და ტერმინები. სახალხო დამცველი თავის სპეციალურ ანგარიშში გამოძიების ეტაპზე შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთასა და დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზეც მიუთითებს.[13]

სიძულვილის ენასთან მიმართებით საქართველოში არსებული ტენდენციების და პრაქტიკის გასააზრებლად მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) მიერ საქართველოს შესახებ მომზადებული მოხსენება. (კომისია პერიოდულ მონიტორინგს ქვეყნების მიხედვით, 5 წელიწადში ერთხელ ახორციელებს).[14]

2023 წლის 28 მარტს საქართველოს შესახებ გამოცემულ მეექვსე მოხსენებაში აღნიშნულია რომ 2015 წლის მეხუთე მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ საქართველომ გარკვეული მიმართულებებით კონკრეტულ წარმატებებს მიაღწია.

დოკუმენტში დადებითად არის შეფასებული საქართველოს ხელისუფლების მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენციის თემაზე ქართველი სამართალდამცავების, პროკურორების და მოსამართლეების შესაძლებლობების გასაძლიერებლად ჩატარებული აქტივობები.[15] ECRI ასევე დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე პოლიციაში განცხადების გაკეთებას არ სჭირდება რე-

---

[13] იქვე, გვ. 21.

[14] ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მოხსენება საქართველოს შესახებ, გვ 4. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/sixth-report-on-georgia/1680ab9e64

[15] იქვე, გვ 5.

ზიდენტის სტატუსი, რაც შესაბამისობაში მოდის ზოგადი პოლიტ-იკის რეკომენდაცია N16-თან - არალეგალურად მცხოვრები მიგრან-ტების დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ.[16]

ECRI ხაზს უსვამს, რომ რასისტულ ან რელიგიურ შეუწყნარებლობ-ასთან შედარებით, შემაშფოთებლად მაღალია ლგბტქი+ ადამიან-ების მიმართ სიძულვილის ენის გამოხატვის ხარისხი.[17]

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრის პროცესში გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოში სიძულვილის ენა შემთხვევითი არ არის, თუმცა ქმე-დითი მონიტორინგის სისტემის არ არსებობის გამო, დეტალური ინფორმაცია არ მოიპოვება.

დღემდე არ არის შეფასებული თუ რა შედეგი გამოიღო სამართალ-დამცავებისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის, როგ-ორც უკვე აღვნიშნეთ, წარმატებით განხორციელებულმა ტრენინ-გებმა და სხვა აქტივობებმა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქ-მეთა სამინისტროში ჯერ კიდევ არ არსებობს საგანგებო განყოფ-ილება, რომელიც კონკრეტულად რასისტული და ლგბტ-ფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე იმუშავებს.

ECRI-ს ბოლო მოხსენებაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რასის-ტული და ლგბტქი+ ადამიანების წინააღმდეგ მიმართული სიძულ-ვილის ენის შესახებ ოფიციალური მონაცემების არ არსებობა იყო დასახელებული. 2015 წლის მოხსენებაში ECRI მოუწოდებს საქარ-თველოს ხელისუფლებას - სახალხო დამცველის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ექსპერტულ ცოდნაზე დაყრდნობ-ით, შექმნას სიძულვილის ენის მონიტორინგის სისტემა. მართალია, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულდა, თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამო-აყალიბა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის

[16] იქვე, გვ 11.
[17] იქვე, გვ 7.

მონიტორინგის დეპარტამენტი, რომლის მიზანი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაა.[18]

სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ECRI-ს ექსპერტებთან შეხვედრისას აღიარეს ამ ახალი დეპარტამენტის მუშაობის სარგებლიანობა, თუმცა უკმაყოფილება გამოხატეს დეპარტამენტის ძალიან ვიწროდ შეზღუდული მანდატის გამო, რომელიც არ ითვალისწინებს გამოძიების ჩატარებას თავად სიძულვილით ჩადენილი დანაშაულების მიმართ. 2019 წელს ECRI-ს უკვე აღნიშნული ჰქონდა იგივე ხარვეზი თავის შუალედურ დასკვნებში საქართველოს შესახებ.[19]

2019 და 2020 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან მიმართებაში, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის მოტივი გამოყენებული იქნა, როგორც დამამძიმებელი გარემოება რასისტული, რელიგიური და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევებში. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა აღმოჩნდა ყველაზე ხშირი დამამძიმებელი გარემოება, რის შემდეგაც მოდის რელიგიური შეუწყნარებლობა.[20]

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა საქართველოში, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მაინც რჩება გამოწვევები და პრობლემები, რომლებიც ძირითადად გამოძიების ხარვეზებს, ოფიციალური მონაცემების არ არსებობას, რასისტული და ლგბტქი+ ადამიანების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის შესახებ და მოქალაქეთა მხრიდან სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის ნაკლებობას უკავშირდება.[21]

---

[18] იქვე, გვ. 14.
[19] იქვე, გვ. 21.
[20] იქვე, გვ 20.
[21] იქვე, გვ 6.

კანონმდებლობა

პირველ რიგში აუცილებლად უნდა განვიხილოთ *საქართველოს კონსტიტუცია*, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი და ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი სამართლებრივი ინსტრუმენტი.

კანონის წინაშე თანასწორობას კონსტიტუციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.[22]

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად - საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.[23]

საქართველოს კონსტიტუცია დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნას და საქმიანობას, რომელიც აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.[24]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, დისკრიმინაცია დაუშვებელია ისეთი ნიშნითაც რომელიც, შესაძლოა, კონსტიტუციაში არ არის ასახული.

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქართველოში ეტაპობრივად დაიწყო ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოება. ამავე წელს

---

[22] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11. თანასწორობის უფლება, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
[23] იქვე.
[24] იქვე, , მუხლი 23.

პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (ანტიდისკრიმინაციული კანონი).

მიუხედავად იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი არ არეგულირებს სიძულვილის ენას, იგი კრძალავს დისკრიმინაციის წახალისებას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი

მუხლი 1. კანონის მიზანი

კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.[25]

ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას 2019 წელს დისკრიმინაციის ფორმების სახით დაემატა „შევიწროება“ და „სექსუალური შევიწროება“.[26]

სიძულვილის ენა საქართველოში კრიმინალიზებული არ არის, თუმცა საკანონმდებლო აქტების ნაწილი მიმართულია სიძულვილის ენის პრევენციასთან. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სიძულვილის ენის კრიმინალიზება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ის ქმნის ძალადობის მკაფიო და

[25] იქვე.
[26] საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: დისკრიმინაციის ცნება. დისკრიმინაციის აკრძალვა, მუხლი2.

პირდაპირ საფრთხეს. სისხლის სამართლის კოდექსი ასევე, არეგულირებს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულს, რომელიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ამავე კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისთვის:

- *რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142/1)*
- *შშმ პირების უფლებების დარღვევა (მუხლი 142/2)*
- *რელიგიის წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 155) და რელიგიისა და რწმენის გამო დევნა (მუხლი 156)*
- *დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა მუხლი (144/3)*
- *დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (მუხლი 408)*[27]

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გამოვყოთ *სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი*, რომლის თანახმადაც რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.[28]

ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად განხორციელებულ სისტემურ ანალიზსა და პოლიტიკურ ანგარიშზე დაყრდნობით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საქართველოს პროკურატურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ საქართველოში სიძულვილის ენის კრიმინალიზება და ფიქრობენ, რომ უმჯობესი იქნება, თუ ხელისუფლება უფრო ეფექტურ მიდგომებს შეიმუშავებს მოქმედი რეგულაციების აღსრულებისთვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოზიციით, სახელმწიფო იშვიათად იყენებს 239/1 მუხლს. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები

[27] საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=262
[28] იქვე, მუხლი 239.

ადასტურებენ, რომ აღნიშნული მუხლით გამოძიება მხოლოდ რამდენიმე საქმეზე წარიმართა.[29]

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უკმაყოფილებას იწვევს ასევე ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სიძულვილის მოტივს დამამძიმებელ გარემოებად არ ითვალისწინებს.[30]

2017 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში ეთიკის და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ (დადგენილება №:200), სადაც მითითებულია, რომ - საჯარო მოსამსახურის მიერ სიძულვილის ენის საჯაროდ გამოყენება ან დისკრიმინაციული კომენტარის გაკეთება შეუთავსებელია ეთიკის და ქცევის ზოგად წესებთან.

პარლამენტართა მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას არეგულირებს *პარლამენტის წევრის ქცევის კოდექსი,* რომელიც 2019 წელს არის მიღებული.[31]

რაც შეეხება *საქართველოს საარჩევნო კოდექსს,* იგი პირდაპირ არ კრძალავს სიძულვილის ენას, თუმცა კრძალავს საარჩევნო პროგრამაში ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, ეთნიკური ან რელიგიური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.[32]

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აკრძალვა და რელიგიური ნეიტრალურობა საჯარო განათლების ძირითადი პრინციპებია.[33]

საქართველოს შრომის კოდექსი პირდაპირ კრძალავს ნებისმიერი სახის შრომით დისკრიმინაციას.[34]

---

[29] https://rm.coe.int/hs-mapping-geo-final/1680a496c9 -გვ 13
[30] https://rm.coe.int/hs-mapping-geo-final/1680a496c9 - გვ 14
[31] https://rm.coe.int/hs-mapping-geo-final/1680a496c9 - გვ 18
[32] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=90
[33] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 13:. ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=109
[34] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 4, მუხლი 5, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567%23!?publication=2

საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აკრძალულია დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობასა და წინა სახელშეკრულებო ურთიერთობაში (მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე).

საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ მუხლი 11.

დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[35]

[35] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=19

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ არ არეგულირებს სიძულვილის ენას, თუმცა, კრძალავს პროგრამებს, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობების ეთნიკური კუთვნილების რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ.[36]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის და სიძულვილის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტებია:

1. *საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“*[37]
2. *საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“*[38]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.[39]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო აქტები პირდაპირ კავშირშია სხვადასხვა სფეროში გამოვლენილი სიძულვილის ენის პრევენციასთან.

---

[36] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 16. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=76

[37] საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10

[38] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=24

[39] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702

საერთაშორისო უმაღლესი საუკეთესო პრაქტიკა

სიძულვილის ენა არის მეტყველება ან სხვა გამომხატველი ქცევა, რომელიც გარკვეულწილად მჭიდროდაა დაკავშირებული ჯგუფების ან პირთა კლასებისადმი სიძულვილთან, რომლებიც გამოვლენილია გარკვეული აღწერილობით (მაგ: რასა, ეთნიკურობა, ეროვნება, მოქალაქეობა.[40]

სიძულვილის ენის მავნე გავლენა საზოგადოებაზე, ბავშვებზე, პოლიტიკაზე და სხვ. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, მისი გავრცელება იწვევს ძალადობას და შეუწყნარებლობას.[41] მას სხვადასხვა გზებით ებრძვიან საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები ეროვნულ დონეზე.

ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკის და საკანონმდებლო პრაქტიკის გაანალიზებამდე, განვიხილოთ საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებები და მიგნებები. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ევ-

[40] Alex Brown, „Hate Speech Law - A Philosophical Examination“, 2015, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://library.oapen.org/handle/20.500.12657/25902

[41] UN article, „Hate speech is rising around the world“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.un.org/en/hate-speech

როპის საბჭოს საქმიანობა სიძულვილის ენის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიძულვილის ენის საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული დეფინიცია არ არსებობს. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1997 წელს მიიღო რეკომენდაცია #R(97), სადაც იგი შემდეგნაირადაა განმარტებული: სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, ხელს უწყობს, პროვოცირებას უწევს ან ამართლებს ქსენოფობიას, რასობრივ შუღლს, ანტისემიტიზმს, ასევე, შეუწყნარებლობის სხვა სახით გამოვლინებას - ეთნოცენტრიზმს, ნაციონალიზმს, დისკრიმინაციას, უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ მტრობას.[42]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის და სხვა.[43]

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი აქვს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) საქმიანობას.

კომისიის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ევროპის მასშტაბით რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა. კომისია იყენებს ყველა საჭირო საშუალებას, რათა აღმოფხვრას დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეთნიკური და ეროვნული ნიშნების მიხედვით.[44]

---

[42] CoE, Committee of Ministers, „Recommendation No. R(97)20 of the Committee of Ministers to Member States on Hate Speech“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://rm.coe.int/1680505d5b

[43] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 14, ხელმისაწვდომია: https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat

[44] ECRI's Mandate, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/ecri-s-mandate

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ECRI ახორციელებს მონიტორინგს ქვეყნების მიხედვით; მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით აანალიზებს თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებულ ვითარებას, რასიზმისა და შეუწყნარებლობის თვალსაზრისით და იძლევა წინადადებებსა და შეთავაზებებს გამოვლენილ პრობლემათა დასაძლევად. ECRI-ს მონიტორინგი ქვეყნების მიხედვით თანაბრად შეეხება ევროპის საბჭოს თითოეულ სახელმწიფოს. სამუშაო სრულდება 5 წელიწადში ერთხელ.[45]

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15 მნიშვნელოვანი დოკუმენტია აღნიშნულ საკითხზე მომუშავე სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის.[46]

ხაზგასასმელია, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ევროპის საბჭო საქართველოში ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს - *„თანასწორობის გაძლიერება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა საქართველოში“.*

პროექტის მიზანია განაგრძოს ქვეყნის მხარდაჭერა ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო სტანდარტების დასამკვიდრებლად, თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციის ხელშეწყობის და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. პროექტის ბიუჯეტი 900 000 ევროს შეადგენს. იგი 2024 წლის 1 იანვარს დაიწყო და 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.[47]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ტერმინი - **სიძულვილის ენა** პირველად 1999 წელს გამოიყენა.

---

[45] ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ: გვ 4.

[46] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/ecri-general-policy-recommendation-no-15-on-combating-hate-speech-geor/1680a27d3f

[47] პროექტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/ka-GE/web/tbilisi/enhancing-equality-and-non-discrimination-in-georgia

სასამართლოს ვრცელი პრეცედენტული სამართალი, სიძულვილის დანაშაულთან დაკავშირებით ახლახან განვითარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემა) სიძულვილის ენის მსხვერპლთა დაცვის გავრცელების ხარჯზე, როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთად და გამონაკლისის სახით მე-13 მუხლის თანახმად.[48]

არანაკლებ მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) საქმიანობა სიძულვილის ენასთან ბრძოლის მიმართულებით. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ „საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც მიღებულია გაეროს მიერ, ხოლო რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ამ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას.[49]

კონვენციის მე-4 მუხლი ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს - დასჯადი გახადონ რასობრივი დისკრიმინაციისა და სიძულვილის ყველანაირი წაქეზება ან ხელშეწყობა.[50]

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მეორე მუხლის თანახმად, დეკლარაციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის და სხვა.[51]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-20

---

[48] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „Articles 8, 13 and 14 - Protection against hate speech“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/protection-against-hate-speech

[49] რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cerd

[50] საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://mfa.gov.ge/pfiles/files/CERD_COs_GEO_13.12.2022.pdf

[51] ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ხელმისაწვდომია: https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

მუხლის მეორე პარაგრაფის მიხედვით: „ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას, უნდა აიკრძალოს კანონით“.[52]

სიძულვილის ენა ასევე შეუთავსებელია ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებთან, შესაბამისად, ევროკავშირის კანონმდებლობით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული უკანონოა.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და მეტყველება უკანონოდ ითვლება. 2008 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება რასიზმისა და ქსენოფობიის გამოხატვის გარკვეული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოითხოვს, ძალადობის ან სიძულვილის საჯარო წაქეზების კრიმინალიზაციას რასის, ფერის, რელიგიის, წარმოშობის ან ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე. ევროკომისია, როგორც ხელშეკრულებების დამცველი, მონიტორინგს უწევს ჩარჩო გადაწყვეტილების სათანადო შესრულებას, დიალოგისა და საჭიროების შემთხვევაში დარღვევის პროცედურების გზით.[53]

რაც შეეხება ჩარჩო გადაწყვეტილებას, რასიზმისა და ქსენოფობიის გარკვეული ფორმებისა და გამოხატვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გზით, მისი მიზანია ევროკავშირის (EU) მასშტაბით უზრუნველყოს რასიზმისა და ქსენოფობიის გარკვეული სერიოზული გამოვლინებების დასჯა ეფექტური, პროპორციული და დამაბრკოლებელი სისხლის სამართლის სასჯელით. ამასთან, გააუმჯობესოს და წაახალისოს სასამართლო თანამშრომლობა ამ სფეროში.[54]

---

[52] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0

[53] European Commission, „Combating hate speech and hate crime - The legal and policy framework in the EU“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://commission.europa.eu/strategy-and-policy/policies/justice-and-fundamental-rights/combatting-discrimination/racism-and-xenophobia/combating-hate-speech-and-hate-crime_en

[54] EU, Framework Decision on combating certain forms and expressions of racism and xenophobia by means of criminal law“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე):

სწრაფი ციფრული ტრანსფორმაციის ფონზე, სიძულვილის ენის გავრცელება ბევრად უფრო მარტივია, შესაბამისად, ევროკავშირის ქცევის კოდექსი ინტერნეტში, უკანონო სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიძულვილის ენის სწრაფი გავრცელების პრევენციის კუთხით.[55]

2021 წელს ევროკომისიამ მიიღო დოკუმენტი - კომუნიკაცია „უფრო ინკლუზიური და დამცავი ევროპა: ევროკავშირის დანაშაულთა სიის გაფართოება სიძულვილის ენაზე და სიძულვილის დანაშაულებზე“.[56] არალეგალური სიძულვილის ენა ევროკავშირის კანონმდებლობაში (1) განისაზღვრება, როგორც ძალადობის ან სიძულვილის საჯარო წაქეზება გარკვეული მახასიათებლების, მათ შორის, რასის, ფერის, რელიგიის, წარმომავლობის და ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე.[57]

ეუთო/ოდირის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ბაზა ყველაზე დიდია მსოფლიოში. ის აერთიანებს, როგორც სახელმწიფო უწყებებისგან, ისე სამოქალაქო საზოგადოებისგან მიღებულ მონაცემებს; მათ შორისაა საქართველოდან მიღებული მონაცემებიც.[58]

რაც შეეხება ცალკეულ სახელმწიფოებში არსებულ პოლიტიკას და კანონმდებლობას სიძულვილის ენის წინააღმდეგ - ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში სიძულვილის ენა სისხლის სამართლის წესით

---

https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/framework-decision-on-combating-certain-forms-and-expressions-of-racism-and-xenophobia-by-means-of-criminal-law.html

[55] European Commission, „The EU Code of conduct on countering illegal hate speech online“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://commission.europa.eu/strategy-and-policy/policies/justice-and-fundamental-rights/combatting-discrimination/racism-and-xenophobia/eu-code-conduct-countering-illegal-hate-speech-online_en

[56] European Commission, „Extending EU crimes to hate speech and hate crime“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://commission.europa.eu/strategy-and-policy/policies/justice-and-fundamental-rights/combatting-discrimination/racism-and-xenophobia/extending-eu-crimes-hate-speech-and-hate-crime_en

[57] European Commission, Code of Conduct–Illegal online hate speech Questions and answers, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://ec.europa.eu/commission/presscorner/api/files/document/print/bg/memo_19_806/MEMO_19_806_EN.pdf

[58] OSCE/ODIHR, „Collecting data to address hate crime”, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://hatecrime.osce.org/

დასჯადია; გამკაცრდა და სულ უფრო მკაცრდება კანონმდებლობა რასობრივი და რელიგიური სიძულვილის გამოვლენის წინააღმდეგ. იგი მოიცავს, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

- *დანიის სისხლის სამართლის კოდექსის 266 (ბ) მუხლი*
- *საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის R.624-3, R.624-4 და R.625-7- მუხლები*
- *ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 137 (გ) და 137 (დ) მუხლები*
- *ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 510 -ე მუხლი*
- *ლიტვის სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლი*
- *გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი*
- *იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 403-406-ე, 724-ე მუხლები*
- *ავსტრიის სისხლის სამართლის კანონის 188-ე მუხლი*[59]

ამერიკის სამართლებრივ სისტემაში, აზრი, მათ შორის სიძულვილის ენა, აბსოლუტური პრივილეგიით არის დაცული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს აშკარა, მყისიერი და გარდაუვალი ძალადობის საფრთხე.

(უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში Snyder v. Phelps იძლევა ამ სამართლებრივი მსჯელობის მაგალითს.) პირველი შესწორების მოქმედი იურისპრუდენციის თანახმად, სიძულვილის ენა შეიძლება იყოს კრიმინალიზებული მხოლოდ მაშინ, როდესაც ის პირდაპირ წაახალისებს გარდაუვალ დანაშაულებრივ აქტივობას ან შედგება ძალადობის სპეციფიკური მუქარისგან, რომელიც მიმართულია პირის ან ჯგუფის წინააღმდეგ.[60] აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი

[59] The Future of free Speech, „Global Handbook on Hate Speech Laws“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://futurefreespeech.org/global-handbook-on-hate-speech-laws/

[60] US Courts, „Facts and Case Summary - Snyder v. Phelps“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.uscourts.gov/educational-resources/educational-activities/facts-and-case-summary-snyder-v-phelps

აღასრულებს ფედერალურ კანონებს სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების წინააღმდეგ, რომლებიც მოიცავს გარკვეულ დანაშაულებს, ჩადენილს რასის, ფერის, რელიგიის, ეროვნული წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, სქესის, გენდერული იდენტობის ან შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.[61]

არ არსებობს „სიძულვილის ენის“ სამართლებრივი განმარტება აშშ-ს კანონის თანახმად, ისევე როგორც არ არსებობს ბოროტი იდეების, უხეშობის, არაპატრიოტული მეტყველების ან სხვა სახის მეტყველების სამართლებრივი განმარტება.[62]

აშშ-სგან განსხვავებით კანადაში სიძულვილის ხელშეწყობა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს.[63]

ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, ისევე როგორც კანადაში, საკანონმდებლო დონეზე აქტიურად ებრძვიან სიძულვილის ენას, რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მისი კონსტიტუცია და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ ამერიკის მოქალაქეებისთვის გამოხატვის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მისი შეზღუდვა მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი. შესაბამისად, სიძულვილის ენა ამერიკული მიდგომით არ არის დასჯადი ქმედება და იგი ფაქტობრივად გამოხატვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ ფორმადაა მიჩნეული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გამოხატვა აშკარა და მყისიერ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას.

---

[61] US Department of Justice, „Laws and Policies“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.justice.gov/hatecrimes/laws-and-policies

[62] American Library Association, „Hate Speech and Hate Crime”, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.ala.org/advocacy/intfreedom/hate

[63] Canada’s Justice Laws Website, „Criminal Code (R.S.C., 1985, c. C-46) Public incitement of hatred“, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-46/section-319.html

სიძულვილის ენა სასკოლო სახელმძღვანელოებში



განათლება ყველაზე მძლავრი იარაღია სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად. განათლების სისტემის გაჯანსაღება კი ყველაზე მყარი ფუნდამენტია ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების პროცესში.

უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, სადაც მომავალი თაობის ფორმირება და ჩამოყალიბება ხდება, არის სკოლა.

სიძულვილის ენა სასკოლო სახელმძღვანელოებში განსაკუთრებით საშიშია, რადგან დიდ გავლენას ახდენს მომავალი თაობის ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.

სტერეოტიპების, ცრურწმენებისა და ნეგატიური წინასწარ განწყობებისგან თავისუფლებას, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად განიხილავს.[64]

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რელიგიური ნეიტრალურობა და დისკრიმინაციის აკრძალვა საჯარო განათლების ძირითადი პრინციპებია. კანონის მიზანს მოსწავლეებისათვის თანასწორი სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს.[65]

მიუხედავად ამისა, სკოლებში ხშირად გამოიყენება რელიგიური სიმბოლოები - არასეკულარული, ინდოქტრინაციის მიზნებით. ასევე

---

[64] იურიდიული განათლების ხელშემწყობი ფონდი, „თანასწორობის გზამკვლევი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის“, გვ.8, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/tanasworobis_gzamkvlevi_geo.pdf

[65] „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 13. ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა.

პრობლემურია საჯარო სკოლების მასწავლებელთა სტერეოტიპული აღქმები.[66]

ევროპის საბჭოს სისტემური ანალიზისა და პოლიტიკის ანგარიშში (საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა რუკა, აღნიშნულია, რომ ანალიზის მონაწილეების შეხედულებით, სახელმწიფოს არ აქვს სისტემური მიდგომა ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა სისტემატური და პროაქტიული მონიტორინგი დისკრიმინაციის შემთხვევებზე, ასევე, საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სიღრმისეული გადამზადება).[67]

რაც შეეხება წარსულში მომხდარ უსიამოვნო ფაქტებს, 2015 წელს კავშირმა „საფარმა“ სახალხო დამცველს მიმართა სასკოლო სახელმძღვანელოში დისკრიმინაციულ ტექსტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებულ, ბიოლოგიის მერვე კლასის სახელმძღვანელოს, სადაც დისკრიმინაციული ხასიათის ტერმინები, ფრაზები და მსჯელობებია გამოყენებული, ადამიანის შეძენილი იმუნოდეფიციტის ვირუსით და შიდსით დაავადებული და ნარკოდამოკიდებული პირები არახელსაყრელ მოპყრობას და სტიგმატიზაციას დაექვემდებარნენ, რაც მათი უფლებების დარღვევასა და საზოგადოებისგან გარიყვას უწყობს ხელს. ასევე არღვევს როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16 და მე-17 მუხლებს, ასევე საქართველოს კანონს ზოგადი განათლებს შესახებ.[68]

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში წარმოდგენილია ინფორმაცია ხარვეზებზე, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვის კუთხით, შემდეგ სახელმძღვანელოებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია და სამოქალაქო განათლება (IX-XII კლასები).

---

[66] CoE, EU, „საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა რუკა“, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/hs-mapping-geo-final/1680a496c9
[67] იქვე.
[68] საფარი, „სასკოლო სახელმძღვანელოში დისკრიმინაციული შინაარსის ტექსტებთან დაკავშირებით“, 7 აგვ, 2015.

კვლევაში მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან ერთ-ერთი ეხება საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოს, კერძოდ, ბახტრიონის გმირული ეპოპეას, რომელშიც აღწერილია ამბავი, თუ როგორია ივრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველები, როცა გადამთიელები, თურქმენები კახეთიდან გადაიხვეწნენ და ქვეყანა შემოსახლებული მომთაბარეებისაგან გაიწმინდა. იქვე დასმულია კითხვა:

„...მოკლედ გადმოეცით თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რომელი რელიგია აღმოჩნდა არაბობის მიმართ უფრო მდგრადი და რატომ.“

კვლევის თანახმად, მსგავსი კითხვა მოსწავლეს უქმნის მოტივაციას, რომ „არაბების,“ რაც ამ შემთხვევაში მუსლიმებსაც გულისხმობს, წინააღმდეგ იმთავითვე ქსენოფობიური განწყობით შეუდგეს მუშაობას.[69]

აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2019 წლიდან განათლების სამინისტრომ, სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით, სასკოლო საგნების ახალ სახელმძღვანელოთა შერჩევა-რევიზიის პროცესში ადამიანის უფლებათა ექსპერტები ჩართო. კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება სახელმძღვანელოების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებთან და დისკრიმინაციის აკრძალვასთან, მოიცავს შემდეგი საკითხების განხილვასაც: ტოლერანტობა და მრავალფეროვნება, გენდერული ნეიტრალურობა, ეთიკური სტანდარტები და ა.შ.[70]

სავარაუდოდ, სწორედ აღნიშნულმა აქტივობებმა იქონია გავლენა იმ ფაქტზე, რომ გასულ წლებთან შედარებით, ბოლო პერიოდში სასკოლო სახელმძღვანელოებში სენსიტიური მოვლენები და ფაქტები მეტი სიფრთხილით იბეჭდება და უფრო მეტად ხდება თანასწორობისა დაა ტოლერანტობის პრინციპების გათვალისწინება.

---

[69] ბ. მინდიაშვილი, გ. გახელაძე, ი. თაბორიძე, „ამონარიდები კვლევიდან რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში“, TDI, 2016, ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/saxelmzgvaneloebis_analizi_tdi_2016.pdf

[70] CoE, EU, „საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა რუკა“, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/hs-mapping-geo-final/1680a496c9

სიძულვილის ენა მედიაში

მედია საშუალებებს ძალიან დიდი გავლენა აქვთ საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, შესაბამისად, მედია საშუალებები დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ თითოეული შემთხვევის გაშუქების დროს ტერმინოლოგიის შერჩევას, რათა არ მოახდინონ სიძულვილის ენის წახალისება და ხელი არ შეუწყონ სტერეოტიპების გაღრმავებას.

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი კლოდ ჟან ბერტრანი, რომელმაც მნიშვნელოვანი ექსპერტული დახმარება გაუწია ქართულ მედიას, ჟურნალისტური ეთიკის ინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით, 2003 წელს საქართველოს შესახებ ევროსაბჭოსთვის გაკეთებულ ანგარიშში წერდა: „სავსებით ბუნებრივია, რომ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ჟურნალისტები მიდრეკილნი არიან, უარყონ „სოციალური პასუხისმგებლობა“, როგორც სახელმწიფო კონტროლის შელამაზებული ფორმა. შესაბამისად, ისინი უარყოფენ ეთიკის კოდექსებს“. პროფესორი ბერტრანი ასევე მიუთითებდა პოსტ-საბჭოურ სივრცეში თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ცნებების არასრულფასოვან აღქმაზე.

2003 წლის შემდეგ საქართველოში ვითარება ეტაპობრივად შეიცვალა, შეიქმნა თვითრეგულირების ინსტიტუციური მექანიზმები.[71] აღნიშნულ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის, როგორც ორგანიზაციის საქმიანობა.

[71] საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია, „ქარტიის პრინციპები“, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, (შემდგომში ქარტია) არის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება, რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება.“

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე მუხლი, სწორედ სიძულვილის ენას ეხება და შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.“[72]

რაც შეეხება საქართველოს კანონს მაუწყებლობის შესახებ, კანონმა დაავალდებულა მაუწყებლები, შექმნან მოქალაქეთა საჩივრების განხილვის ეფექტიანი და გამჭვირვალე მექანიზმები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში.[73]

სამაუწყებლო სფეროში მარეგულირებელი ორგანოა „სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“. მის მანდატში შედის: წინადადებების მომზადება სახელმწიფო პოლიტიკაზე მაუწყებლობის სფეროში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება, სამაუწყებლო ავტორიზაციის მინიჭება და სხვა.[74]

2009 წელს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ დაამტკიცა მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც ჟურნალისტთა პროფესიული ქცევის სტანდარტებს განსაზღვრავს.[75]

---

[72] იქვე

[73] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=73

[74] კომუნიკაციების კომისია, ხელმისაწვდომია: https://www.comcom.ge/ge/

[75] „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია:

სიძულვილის ენის შემზღუდავი სტანდარტები, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აქტებისა, შეზღუდულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსითაც.[76]

მედიაში სიძულვილის ენის გამოყენებაზე ანგარიშის თანახმად, 2019 წელს სიძულვილის ენის შემცველ განცხადებათა უდიდესი ნაწილი ჰომოფობიური იყო, შემდეგ მოდიოდა ქსენოფობიური განცხადებები და სხვა. სიძულვილის შემცველი ყველაზე მეტი კომენტარი, კი მედიის წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთდა.[77]

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი კომენტარები მნიშვნელოვნად არის შემცირებული, (2019 – 1918; 2020 – 1081). მონიტორინგის პერიოდში ჯამში 1081 დისკრიმინაციული კომენტარიდან 513 (47.5%) ჰომოფობიური , შემდეგ კი ქსენოფობიური 408 (37.7%) განცხადებები დომინირებდა.[78]

შეიძლება ითქვას რომ საკანონმდებლო დონეზე მედიაში სიძულვილის ენის პრევენნციისათვის ნამდვილად არსებობს შესაბამისი რეგულაციები თუმცა მიუხედავად ამისა ზემოთ მოყვანილი კვლევების თანახმად მაინც ხშირია მედიაში სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები. აღნიშნულ ფაქტს შესაძლოა მრავალი მიზეზი განაპირობებდეს, მათ შორის, სახელმწიფოში არსებული დემოკრატიის ხარისხი.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0

[76] საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია, „სიძულვილის ენასთან ბრძოლა - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684-sidzulvilis-enasthan-brdzola-sakhelmdzghvanelo-tsesebi-mediisthvis

[77] თ. გოგოლაძე, „სიძულვილის ენა - 2019“, მედიის განვითარების ფონდი, PITA, ხელმისაწვდომია: http://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/183

[78] თ. გოგოლაძე, „სიძულვილის ენა - 2020“, მედიის განვითარების ფონდი, PITA, ხელმისაწვდომია: https://mdfgeorgia.ge/uploads/Sidzulvilisena2021.pdf



სიძულვილის ენა და გენდერი

საქართველოში არსებული სტერეოტიპული გარემო განსაკუთრებით მძიმდება ქალებთან მიმართებაში, თითქმის ყველა კონტექსტში. ქალთა მიმართ არსებულ სიძულვილის ენას პირდაპირი კავშირი აქვს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებთან, რაც შემდგომში ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი მიზეზი ხდება. საზოგადოება ნაკლებად ემპათიურია ძალადობის მსხვერპლი ქალ-ის მიმართ და დამნაშავეს ფემიციდის შემთხვევაში სწორედ ქალში ეძებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ფემიციდის ფაქტის გაშუქების დროს საზოგადოების მხრიდან ისეთი ფრაზები და კითხვებია, რომლებიც გამოხატვის ფორმით სიძულვილის ენას წარმოადგენს და დანაშაულს აქეზებს. მაგალითად, ტელეკომპანია „იმედის“ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით თვალნათლივ ჩანს საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება ძალადობის მსხვერპლი ქალის მი-მართ და ჟღერდება ფრაზები რომლებიც აქეზებს დანაშაულს.[79]

[79] ტელეკომპანია „იმედის“ ექსპერიმენტი,
მოქალაქეთა რეაგირება ქალთა მიმართ ძალადობაზე,
ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=387820071895659

ყველაზე ნათლად საზოგადოების დამოკიდებულება სოციალურ ქსელებში გავრცელებული პოსტებითა და კომენტარებით შეგვიძლია შევაფასოთ.

საზოგადოება ხშირად განიხილავს კომენტარებში უცნობი ადამიანების პირად ცხოვრებას, განსაკუთრებით, თუ საქმე ცნობილ ადამიანებს ეხება. მაგალითად, ცნობილი ქართველი წყვილის გია ბაღაშვილის და თაკო ტაბატაძის განქორწინების გასაჯაროების ფონზე ერთ-ერთ ინტერვიუში თაკო ტაბატაძემ აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით მძიმე ფაქტი იყო, როცა მის ყოფილ მეუღლეს კომენტარებში ქალის სიცოცხლის მოსპობისკენ მოუწოდეს, რადგან მან, 4 შვილის დედამ, განქორწინება გაბედა.[80]

„ფემიციდის შესახებ ვენის დეკლარაციის“ (2013) მიხედვით, ტრადიციული და კულტურული ნორმები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ქალთა მიმართ ძალადობის გასამართლებლად.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ (CEDAW) ქალთა და კაცთა ქცევის ყველა იმ მოდელის, ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების ვალდებულებას განსაზღვრავს, რომელიც ერთ-ერთი სქესის უპირატესობისა და გენდერული სტერეოტიპების გაღრმავების იდეას ეფუძნება.[81]

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“ N25 რეკომენდაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, წვლილი შეიტანონ აღნიშნული პრაქტიკის გარდაქმნის პროცესში.[82]

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) სტატიაზე დაყრდნობით, საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიუ-

---

[80] NETGAZETI.GE: „როგორ გახდა კიბერბულინგის სამიზნე თაკო ტაბატაძე ქმართან განქორწინების შემდეგ“,
ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=vhyzCK-oGPc

[81] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0

[82] CEDAW, General recommendation No. 25, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf

რად ჩართული ქალები ხშირად აღნიშნავენ, რომ დისკრიმინაციული, სექსისტური და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც პოლიტიკასა და მმართველობაში ქალთა არასაკმარის მონაწილეობას განაპირობებს.

„ქართველი ქალები ხშირად აწყდებიან დამამცირებელ რიტორიკას, სექსისტურ შეურაცხყოფასა და აშკარა მუქარასაც კი“, - განაცხადა UNDP-ის ხელმძღვანელმა ლუიზა ვინტონმა. „ბოლო დროს, ამ მოვლენამ ტრადიციული მედიიდან სოციალურ ქსელებში გადაინაცვლა.[83]

სექსისტური სიძულვილის ენა განსაკუთრებით მძაფრია ქალი პოლიტიკოსების მიმართ.

ქართველი პოლიტიკოსი ქალების მიმართ სექსისტურ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, ფეისბუკ გვერდების მონიტორინგი საფარმა და მედიის განვითარების ფონდმა გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ჩაატარეს. მათ სულ 112 გვერდი შეისწავლეს.

კვლევის ავტორის, გიორგი ურჩუხიშვილის თქმით, არ არსებობს სოციალური სივრცე, სადაც ქართველი ქალი პოლიტიკოსები სექსისტურ სიძულვილის ენას არ აწყდებიან. თუმცა, ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ქალები საჯარო სივრცეში გამოდიან და წარმატებას აღწევენ. ამ დროს მათ წინააღმდეგ კიდევ უფრო აქტიურდება სიძულვილის ენა, რომელსაც საფუძვლად მათი გენდერული იდენტობა და სექსუალობა უდევს.[84]

---

[83] UNDP საქართველო, „სიტყვას ძალა აქვს: გენდერული სტერეოტიპები ქართულ სოციალურ მედიაში“, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/ka/georgia/press-releases/sitqvas-dzala-akvs-genderuli-stereotipebi-kartul-sotsialur-mediashi

[84] ON.GE სტატია: „სექსისტური სიძულვილის ენა — რას „უწუნებენ“ ქალ პოლიტიკოსებს“.

დასკვნა

სიძულვილის ენის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კუთხით ადგილობრივი თუ საერთაშორისო კანონმდებლობის, პრაქტიკის და მიდგომების ანალიზმა აჩვენა, რომ საკითხი ისეთივე გამოწვევაა თანამედროვე მსოფლიოსთვის, როგორც საქართველოსთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთხმად თანხმდება სიძულვილის ენასთან ბრძოლის აუცილებლობაზე, ყველა ქვეყანას განსხვავებული ხედვები და პრაქტიკა აქვს. მაგალითად, თუ ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში სიძულვილის ენა სისხლის სამართლის წესით დასჯადია, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში კანონმდებლობა გამკაცრდა და კიდევ უფრო მკაცრდება, ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემით - აზრი, მათ შორის სიძულვილის ენა, აბსოლუტური პრივილეგიით არის დაცული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს აშკარა და გარდაუვალი ძალადობის საფრთხე.

აღნიშნული კუთხით საქართველოში არსებული პრაქტიკა გარკვეულწილად ამერიკულს ჰგავს. საქართველოში სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ძალადობის პირდაპირი საფრთხე.

კვლევების თანახმად, საქართველოში ყველაზე ხშირად სიძულვილის ენა ლგბტ თემის მიმართ ვლინდება, ასევე ხშირია სიძულვილის ენა პოლიტიკოსების განცხადებებსა და პოლიტიკურ ტოქშოუებში, მედიაში, სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე და სხვა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გარკვეული პოზიტიური შეფასებების მიუხედავად, საქართველოში სიძულვილის ენასთან ბრძოლის მიმართულებით რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას და გამოწვევას ვხვდებით.

პირველ რიგში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის თანახმად, საგამოძიებო ორგანოები ხშირად უგულებელყოფენ სიძულვილის მოტივს, აჭიანურებენ გამოძიებას და არაერთი შემთხვევა კვალიფიცირდება, როგორც ჩვეულებრივი დანაშაული.

იკვეთება გამოწვევები სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიმართულებით.

ასევე ძალიან დიდ პრობლემას ქმნის ერთიანი რეესტრის არარსებობა, სადაც აღირიცხება ზუსტი მონაცემები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობს რასისტული და ლგბტქი+ თემის საწინააღმდეგო სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა.

ასევე, არ არსებობს ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, მთავრობის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე დისკუსია.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ჯერ კიდევ არ შეუცვლია თავისი 2015 წლის პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებულია „სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო უსაფრთხოების დისკურსზე“, დღემდე არ შეფასებულა, რა შედეგი გამოიღო სამართალდამცავების, პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის სიძულვილით ჩადენილი დანაშაულების თემაზე ჩატარებულმა სხვადასხვა ტრენინგ-აქტივობებმა. მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ არ არსებობს საგანგებო განყოფილება, რომელიც სპეციფიკურად რასიზმითა და ჰომოფობიით გამოწვეულ დანაშაულთა საკითხებზე იმუშავებს.

საქართველოს კანონმდებლობა და ქცევის არსებული კოდექსები არ შეიცავს „სიძულვილის ენის“ განმარტებას. ეს ქმნის ბუნდოვანებას, თუ როგორ უნდა განსაზღვრონ სიძულვილის ენა შესაბამისმა თვითრეგულირების მექანიზმებმა საჩივრების განხილვისას.

საქართველოს კანონმდებლობა საჯარო სკოლებში ქმნის დისკრიმინაციისაგან თავისუფალ და რელიგიური თვალსაზრისით ნეიტრალურ გარემოს. მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარეები შეშფოთებას გამოთქვამენ ამ პრინციპების ხშირად დარღვევისა და საჯარო სკოლის მასწავლებელთა სტერეოტიპული აღქმების გამო.

რეკომენდაციები

1. საჭიროა, ერთგვაროვან საქმეებზე ჩამოყალიბდეს თანმიმდევრული პრაქტიკა, სადაც სამართლებრივი შეფასების გარეშე არ დარჩება პირის დევნა ამა თუ იმ ნიშნის გამო და მკაფიოდ გამოიხატება სახელმწიფოს ნება დისკრიმინაციის შემცველ დანაშაულებრივ ქმედებებთან გამკლავების პროცესში.

2. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება, კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომელთა გადამზადებისა და საუკეთესო პრაქტიკების კვლევის გზით.

3. შეიქმნას ერთიანი სამუშაო ჯგუფი, მთავრობის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე დისკუსია.

4. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) რეკომენდაციის თანახმად, შეიქმნას რასისტული და ლგბტქი+ თემის საწინააღმდეგო სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა. პროცესში კი აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართული სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, გენდერულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტები.

5. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) რეკომენდაციის შესაბამისად შეიცვალოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რათა აიკრძალოს რასობრივი შეურაცხყოფა და რასისტული განცხადებების შემცველი მასალების გახმაურება ან გავრცელება რასიზმის მოტივით.

6. შეიქმნას ერთიანი რეესტრი, სადაც აღირიცხება ზუსტი მონაცემები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

7. ხელისუფლების ორგანოებმა შეაფასონ და შესაბამისად გააუმჯობესონ ინკლუზიური განათლების, მულტიკულტურულ გარემოში სწავლების, მრავალფეროვნების პატივისცემისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე მასწავლებელთა ცოდნის დონის ასამაღლებელი ღონისძიებები.

8. შეიქმნას მოქნილი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების ორგანოები განახორციელებენ მონიტორინგს, რა გავლენა აქვთ ტრენინგებს და აქტივობებს რომლებიც სიძულვილის ენის პრევენციის მიმართულებით უტარდებათ სამართალდამცავებს, პროკურატურის თანამშრომლებს და სხვა.

9. ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკა რელიგიის სფეროში მიმართოს დისკრიმინაციის აკრძალვისა და რელიგიური შემწყნარებლობის მხარდაჭერის პრინციპზე.

10. მთავრობამ, მედიამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა სიძულვილის ენის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ.